საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახა

ახა, სოფელი და ციხესიმაგრე ისტორიულ სამხრ. საქართველოში, ტაოს პროვინციის მამროვანის (ნამროვანი || ნარუმაკი) ხევში (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). მდებარეობს ოლთისისწყლის (ოლთუ-ჩაი) მარცხ. შენაკადის იდისწყლის ხეობაში. ა-ის ციხე (ახარი) ხშირად იხსენიება XVI – XVII სს. ოსმ. წყაროებში. ა. ერქვა აგრეთვე სოფელს ზემო ბასიანში, რ-იც ასან-ყალას (ახლანდ. ფასინერი) ჩრდ-ით 5 კმ-ზე მდებარეობდა.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI – XVII სს.), თბ., 1971.

ა. თორდია